

„ნეფროლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ნეფროლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი - „ნეფროლოგია“ შეისწავლის თირკმლის ქსოვილის (გორგლოვანი, მილაკოვანი, ინტერსტიციული და ვასკულური ნაწილების) დაზიანებით მიმდინარე დაავადებებს და ამ დაავადებებით/პათოლოგიური მდგომარეობებით გამოწვეულ წყალ-მარილოვან, მჟავა-ტუტოვან და მეტაბოლურ დარღვევებს, თირკმლის ქრონიკული დაავადებისა და თირკმლის ტერმინალურ უკმარისობის მკურნალობის, მ.შ. თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის (ჰემოდიალიზი, პერიტონეული დიალიზი, თირკმლის ტრანსპლანტაცია) ადეკვატურობის, ეფექტურობისა და სრულყოფის საკითხებს.

3. ზოგადი ცოდნა

ა) თირკმლის ნორმალური ანატომია, ფიზიოლოგია და პათოფიზიოლოგია, პათომორფოლოგია;

ბ) წყალ-მარილოვანი ცვლის, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის დარღვევების ტიპები და კორექცია;

გ) ნეფროლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ღონისძიებები;

დ) ძირითადი კლინიკური სინდრომები და მათი განვითარების მექანიზმები;

ე) კლირენსი და მისი გამოყენება თირკმლის გორგლოვანი (გლომერულური) ფილტრაციის სიჩქარის გამოსათვლელად, ასევე ჰემოდიალიზის, პერიტონეული დიალიზის და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სხვა უწყვეტი მეთოდების დროს ხსნარების კლირენსის შეფასება;

ვ) თირკმლის მორფოლოგიური გამოკვლევისა და ბიოფსიის მნიშვნელობა, ნატიური თირკმლის და ტრანსპლანტატის ბიოფსიის ჩვენებები და უკუჩვენებები;

ზ) ფარმაკოთერაპიისა და ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები: სამკურნალო საშუალებების ძირითადი ჯგუფები, მათი მოქმედების მექანიზმები, რენული და ექსტრარენული ელიმინაცია, მედიკამენტების დოზის ადაპტირება თირკმლების ფუნქციასთან, დიალიზით ელიმინაცია, მედიკამენტების გამოყენება ჰემოდიალიზის, პერიტონეული დიალიზის და ტრანსპლანტირებულ პაციენტებში;

თ) გერიატრიის ასპექტები ნეფროლოგიაში;

ი) ყველა იმ დაავადების, სინდრომისა და პათოლოგიური მდგომარეობის ცოდნა, რომლის დროსაც ადგილი აქვს თირკმლის დაზიანებას;

კ) რადიოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის, იმუნოლოგიისა და გენეტიკის საფუძვლები.

4. დაავადებები და მდგომარეობები: (25.07.2022 N01-73/6)

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
N00 – N07	გლომერულოპათიები (მწვავე ნეფრიტული სინდრომი, სწრაფად პროგრესირებადი ნეფრიტული სინდრომი, მორეციდივე და მდგრადი ჰემატურია, ქრონიკული ნეფრიტული სინდრომი, ნეფროზული სინდრომი, დაუზუსტებელი ნეფრიტული სინდრომი, იზოლირებული პროტეინურია დაზუსტებული მორფოლოგიური დაზიანებით, მემკვიდრული ნეფროპათია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში)	მართვა
N08 (N08.0 (B52.0, B26.8, B65, A40 - A41, B78, A52.7), N08.1 (C90.0, C88.0), N08.2 (D89.1, D65, D59.3, D69.0, D57), N08.3 (E10.2, E11.2, E12.2, E13.2, E14.2), N08.4 (E75.2, E78.6), N08.5 (M31.0, M30.0, M32.1, M31.1, M31.3), N08.8* (I33.0)	გლომერულების დაზიანებები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	მართვა
N10 (B95 - B97)	მწვავე ტუბულო-ინტერსტიციული ნეფრიტი	მართვა
N11	ქრონიკული ტუბულო-ინტერსტიციული ნეფროზი	მართვა
N12	ტუბულო-ინტერსტიციული ნეფრიტი, დაუზუსტებელი როგორც მწვავე ან ქრონიკული	მართვა
N14	სამკურნალობის საშუალებებითა და მძიმე ლითონებით გამოწვეული ტუბულურ-ინტერსტიციული და ტუბულური დაზიანებები	მართვა
N15	თირკმლების სხვა ტუბულო-ინტერსტიციული ავადმყოფობები	მართვა
N16 (N16.0 (A23, A27, A36.8, A02.2, A40-A41, B58.8), N16.1(C91-C95, C81-C85, C96, C90.0), N16.2 (D89.1, D86), N16.3 (E72.0, E74.0, E83.0), N16.4 (M35.0, M32.1), N16.5, N16.8)	თირკმლების ტუბულო-ინტერსტიციული დაზიანებები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	მართვა
N17 (J96.0, E87.7, T82.7, D64.9, D68.9)	თირკმლის მწვავე უკმარისობა	მართვა

N18 (N18.1, N18.2, N18.3, N18.4, N18.5 (H32.8*, I68.8*, F02.8*, G63.8*, G98.8*, I32.8*, J96.0, E87.7, N25.8, T82.7, D64.9, D63.8*, K65.8, D68.9), N18.8 (G63.8*, I32.8*) N18.9)	თირკმლის ქრონიკული უკმარისობა	მართვა
N19	თირკმლის უკმარისობა, დაუზუსტებელი	მართვა
N25	თირკმლების მილაკოვანი აპარატის დისფუნქციით გამოწვეული დარღვევები	მართვა
N 26	შეჭმუხნილი თირკმელი, დაუზუსტებელი	მართვა
N 27	პატარა თირკმელი, უცნობი გენეზის	მართვა
N 28	თირკმლისა და შარდსაწვეთების სხვა დაზიანებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
N 29 (N29.0 (A52.7), N29.1 (B65, A18.1), N29.8)	თირკმელებისა და შარდსაწვეთების სხვა დაზიანებები იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	მართვა
N39 (N39.0 (B95-B98), N39.1, N39.2, N39.3, N39.4, N39.8, N39.9)	საშარდე სისტემის სხვა ავადმყოფობები	მართვა
Z49	დახმარება, დაკავშირებული დიალიზთან	მართვა
Z52.4	თირკმლის დონორი	მართვა
Z94.0 (D64.9, B25)	გადანერგილი თირკმლის არსებობა (თირკმლის ტრანსპლანტატის სტატუსი)	მართვა
Z99.2	თირკმლის დიალიზზე დამოკიდებულება (ჰემოდიალიზი)	მართვა
I12	თირკმლების ჰიპერტენზიული ავადმყოფობა	მართვა
I13	გულისა და თირკმლის ჰიპერტენზიული ავადმყოფობა	მართვა
E 85	ამილოიდოზი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში
Q60	თირკმლის აგენეზია და სხვა რედუქციული დეფექტები	მართვა
Q61	თირკმლის კისტური ავადმყოფობა	მართვა
Q62	თირკმლის მენჯის თანდაყოლილი ობსტრუქციული დეფექტები და შარდსაწვეთის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q63	თირკმლის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
R65	სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში
T85.7	ინფექცია და ანთებითი რეაქცია, გამოწვეული სხვა შიდა საპროთეზო საშუალებებით, იმპლანტანტებითა და ტრანსპლანტანტებით	მართვა
T85.8	შიდა საპროთეზო საშუალებების, იმპლანტანტებისა და ტრანსპლანტანტების	მართვა

	სხვა გართულებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	
T85.9	შიდა საპროთეზო საშუალების, იმპლანტანტისა და ტრანსპლანტანტის დაუზუსტებელი გართულება	მართვა
T86.1	თირკმლის ტრანსპლანტანტის ნეკროზი და მოცილება	მართვა

5. სავალდებულო პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ნეფროლოგია“, შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

- ა.ა) საშარდე სისტემის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა;
- ა.ბ) საშარდე სისტემის რენტგენოგრაფია;
- ა.გ) საშარდე სისტემის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია;
- ა.დ) საშარდე სისტემის კომპიუტერული ტომოგრაფია;
- ა.ე) თირკმლის ტრანსპლანტატის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა;
- ა.ვ) ა/ვ ფისტულის (დიალიზის სისხლძარღვოვანი მიდგომა) დოპლერ-სონოგრაფია;
- ა.ზ) სისხლის და შარდის საერთო ანალიზი;
- ა.თ) შარდის ნალექის კვლევა;
- ა.ი) ბიოქიმიური ანალიზები;
- ა.კ) ჰორმონული კვლევები;
- ა.ლ) სისხლის გაზები და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა;
- ა.მ) სისხლის მიკროელემენტები;
- ა.ნ) კოაგულოგრამა;
- ა.ო) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა;
- ა.პ) იმუნოლოგიური გამოკვლევა;
- ა.ჟ) მორფოლოგიური გამოკვლევა (ციტომორფოლოგია, ჰისტომორფოლოგია);
- ა.რ) დენსიტომეტრია.

ბ) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ნეფროლოგია“, შეუძლია შემდეგი ჩარევების/კვლევების შესრულება:

- ბ.ა) ჰემოდიალიზი;
- ბ.ბ) ჰემოფილტრაცია;
- ბ.გ) პერიტონეული დიალიზი;
- ბ.დ) ფორსირებული დიურეზი;
- ბ.ე) პლაზმაფერეზი;
- ბ.ვ) იმუნოსორბცია;
- ბ.ზ) სისხლის და სისხლის კომპონენტების ტრანსფუზია;
- ბ.თ) ა/ვ ფისტულის პუნქცია;
- ბ.ი) თირკმლის (ასევე თირკმლის ტრანსპლანტატის) ბიოფსიური მასალის აღება;
- ბ.კ) მოკლევადიანი/გრძელვადიანი ც/ვ სადიალიზე კათეტერის ჩაყენება.